

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კახა ბოლქვაძის
მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის

ო კ მ ი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 23.07.2019 წელი, 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს წევრი დავით ჩხარტიშვილი, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

საკრებულოს წევრმა, კახა ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას მობრძანებისთვის და წარადგინა საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე, ასევე საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, რომელიც ეხებოდა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტას, ასევე, მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე.

საკრებულოს წევრის, კახა ბოლქვაძის მოხსენებით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით გახდა საკრებულოს წევრი.

საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში; ასევე გახლავთ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. დაესწრო სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 5 სხდომას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 18 სხდომას. კომისიებში განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც შემდგომ საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე გავიდა დასამტკიცებლად.

ასევე ესწრებოდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 12 სხდომას. მის მიერ ფრაქციის სხდომებზე დასმული იქნა პრობლემატური საკითხები. კერძოდ:

- საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ ფინანსური დავალიანებების შესახებ უნდა დაიწყოთ გამოძიება, საბოლოოდ გარკვეული უნდა იქნას ამ კლუბის ფინანსური დავალიანების შესახებ მდგომარეობა და ყველა ის ადამიანი უნდა მიეცეს პასუხისმგებლობაში, რომელსაც აქვს სისხლისსამართლებრივი დანაშაული ჩადენილი.
- ყოველდღიურად ქალაქის ტერიტორიაზე, №1 საჯარო სკოლის მიმდებარედ გზაჯვარედინზე ხდება საქონლის გადარეკვა, რადგან არის ცენტრალური მაგისტრალი საჭიროა შესაბამისი საგზაო ნიშნის განთავსება, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას.
- სამწუხაროდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მომრავლდა დიალიზის საჭიროების მქონე პაციენტები, რის გამოც დადგა ბიკარბონატული ჰემოდიალიზის აპარატის შეძენისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროება.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა ამომრჩეველებთან, ისმენდა მათ პრობლემებს, რომელიც ძირითადად ეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განიხილავდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, ამ კუთხით საანგარიშო პერიოდი საკმაოდ აქტიური იყო, შეწამვლითი სამუშაოები ჩატარდა ოთხ ეტაპად.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა იმ პროექტებზე და დახმარებებზე, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა საქართველოს მთავრობისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. კერძოდ ეს პროექტებია:

- ურუშაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- მშვიდობის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ყაზბეგის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ურუშაძის ქუჩაზე გიორგი შარაბიძის სახლთან გაბიონის მოწყობა;
- კერხანოჩიევის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა;
- მოიხრეშა ლაშისდელის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;

საკრებულოს წევრმა, კახა ბოლქვაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებზე, კერძოდ:

- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარეობს ქალაქის ტექნიკური წყლით მომარაგება;
- მშვიდობის ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ურუშაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონისა და ბარათაშვილის ქუჩის შესახვევებთან სანიაღვრეების მოწყობა;
- თავისუფლების ქუჩის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა;
- წმ. ნინოს ქუჩაზე და წილოსნების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონის ქუჩაზე ლაშა დუდუჩავას სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა;

- თავისუფლების ქუჩაზე იგეგმება ი.დუნდუას სახელობის ხელოვნურსაფარიანი მოედნის რეაბილიტაცია;
- თავისუფლების ქუჩაზე ასფალტის საფარის წერტილოვანი შეკეთება;
- იგეგმება მდინარე ლაშისდელის კალაპოტის გაწმენდა;
- ბარათაშვილის ქუჩის ბოლოში არხის მოწესრიგება;

საკრებულოს წევრმა კახა ბოლქვაძემ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების შესახებ.

მოქალაქე ჯონი ცინცაძემ აღნიშნა, რომ პრობლემა არის რკინიგზის სადგურისდ მიმდებარედ ცხაურის შეკეთება, რომელზეც პრაქტიკულად შეუძლებელია ავტომობილის გადაადგილება. ასევე პრობლემატურია ყოფილი ინტერნატის ეზო, რომელიც არის მიტოვებული, მოუვლელი, და არის ანტისანიტარია. ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა მისი მოვლა-პატრონობა. რამოდენიმე წლის წინ გაკეთებული გაბიონი თავიდან არის გასაკეთებელი, რადგან მდინარე საფრთხეს უქმნის მის საკარმიდამო ეზოს.

მოქალაქე ლელა სარჯველაძემ დააყენა პრობლემა ფაროსანასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ მოხდა ერთხელ შეწამვლა, მაგრამ მას შემდეგ ახალი, პატარ-პატარა ფაროსანები არის გამოჩენილი, ამიტომ საჭიროა ხელახალი სამუშაოების გატარება.

მოქალაქე გია ორაგველიძემ აღნიშნა, რომ მწვავე პრობლემაა ქალაქის ცენტრში მაწანწალა ძაღლების, კანალიზაციის და სანიაღვრე არხების საკითხებთან დაკავშირებით, სანიაღვრე არხი მდებარეობს ფარმაცევტული კომპანიების და კვების ობიექტების წინ, უსიამოვნო სუნი აწუხებს ადგილობრივ მაცხოვრებელს და იქ მომუშავე ყველა ობიექტის თანამშრომელს.

საკრებულოს წევრმა, კახა ბოლქვაძემ მოსახლეობას აქტიურ მუშაობას შეჰპირდა საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად. რათა მომდევნო წლები უფრო წარმატებული გახდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის.

ასევე, მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას ნდობისთვის, საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

კახა ბოლქვაძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები